

1.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები

სააგენტოს რეორგანიზაცია

2017 წლის ბოლოს სააგენტოში განხორციელდა რეორგანიზაცია: გაერთიანდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული. შტატების რაოდენობა 63-დან შემცირდა 58-მდე. შედეგად, ჩამოყალიბდა შემდეგი სამმართველოები:

სამმართველოები და მათი ფუნქციები

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების სამმართველო: განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების გაცემა, სამინისტროს ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმება, ადგილობრივი თვითმმართველობის მშენებლობის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ტრენინგების ჩატარება.
2. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა: მსხვილი საწარმოო კომპლექსები, მაგისტრალური წყალსადენი, საავტომობილო გზები, რკინიგზები და აეროდრომები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, საწარმოო, საზოგადოებრივი და სხვა დანიშნულების ობიექტები, საკანალიზაციო კოლექტორი და სხვა. ჰიდროელექტროსადგურები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, თბო - და სხვა ელექტროსადგურები, ელექტროქვესადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები, მაგისტრალური გაზსადენი, მაგისტრალური ნავთობსადენი.
3. ბაზარზე ზედამხედველობის სამმართველო: ახალი მიდგომის რეგლამენტებით განსაზღვრული ობიექტების ზედამხედველობა: ლიფტები, საბაგირო მოწყობილობები, წნევის მყოფი მარტივი ჭურჭელი, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაზე დანადგარები).
4. ინდუსტრიულ ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო: მაგისტრალური ნავთობსადენი, აირგასამართი და აირსავსები სადგურები, მაგისტრალური გაზსადენი, ჟანგბადის და თხევადი ჟანგბადის წარმოება, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირვება, ამიაკის მაცივრები, ნავთობბაზა, ავტოგასამართი კომპლექსის ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, ამწე მოწყობილობა, ლიფტი, ესკალატორი, ფუნქციური, საბაგირო გზა, საქვაზე დანადგარი, ატრაქციონი, წნევაზე მომუშავე ჭურჭელი.
5. სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო: სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა; ტექნიკური ზედამხედველობა: კარიერი, მადარო, შახტი, გამოქვაბულები, მღვიმეები, იარაღის შემნახველი შენობები, კონსტრუქციული

მდგრადობა: ჰიდროენერგეტიკული ნაგებობები.

6. ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო: გეოინფორმაციული მონაცემების სერვერული სისტემა, კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციები, ერთიანი ელექტრონული სისტემა: ნებართვები, რეესტრი, ვებპორტალი, ინფორმაციის გავრცელება და ურთიერთობა მასმედიასთან, ობიექტების უწყებრივი რეესტრი, კორესპონდენცია, არქივი, ბრძანებების რეგისტრაცია, საფინანსო - ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვა, სხვა ადმინისტრაციული საქმეები.

7. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო: სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები, სხვადასხვა უწყებების ნორმატიული აქტების პროექტები, საჩივრები, განცხადებები, სააგენტოს წარმომადგენლობა სასამართლოში.

ბაზარზე ზედამხედველობა - ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და შესაბამისი სანქციები, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით;
- გაიმართა შეხვედრა საქართველოში არსებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ ცნობიერების გაზრდისა და თანამშრომლობის მიზნით;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებიდან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან;
- შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით. გაიმართა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განხილული იქნა არსებული ბაზარზე ზედამხედველობის რეგულაციები და დაისახა სამომავლო გეგმები;
- გაიმართა შეხვედრა სანთებელების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში არსებული რეგულაციების გაცნობისა და 2018 წლიდან სანთებელებზე ბაზარზე ზედამხედველობის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- ევროკავშირის მოკლევადიანი პროექტის დროს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე სააგენტოს მიერ შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო /სამოქმედო ინსტრუქცია შემდეგი სფეროებისათვის: წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მომუშავე მარტივი ჭურჭლები, ცხელი წლის ბოილერები, საბაგირო მოწყობილობები და ლიფტები;

- ასევე ევროკავშირის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტი - ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესი, რომელიც გულისხმობს რისკის საფრთხის/ანალიზის პროდუქტის შემუშავებას უკვე დაახლოებული 5 ახალი მიდგომის დირექტივებით დაფარული სფეროებისათვის (ლიფტები, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები, ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების უსაფრთხოება და თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები);
- სააგენტომ განახორციელა ბაზარზე ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციებში მათ შორის PROSAFE-ში გაწევრიანების შესაძლებლობების ანალიზი. შესწავლილი იქნა როგორც საერთაშორისო, ისე ევროპის რეგიონალური ორგანიზაციები, განისაზღვრა ის ორგანიზაციები, რომელთანაც სააგენტოს სურს თანამშრომლობა, კერძოდ, სამომხმარებლო პროდუქტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICPHSO) და PROSAFE-თან;
- შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი; „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“;
- შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი: „ფეთქებადსაშიშ გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“.

სააგენტომ 2017 წლიდან დაიწყო ბაზარზე ზედამხედველობა ახალი მიდგომის ევროკანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულ, შემდეგი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ ობიექტებზე: ♣ წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები; ♣ წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები; ♣ ცხელი წყლის ახალი ბოილერები (საქვებზე დანადგარები). 2017 წლის განმავლობაში შემოწმებული იქნა: ♣ ცხელი წყლის ახალი ბოილერი - 85 ; ♣ წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები - 10; ♣ წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები - 20.

ევროკავშირის დახმარების პროექტი - „Twinning“

სააგენტოში 2018 წლის იანვრიდან იწყება ევროკავშირის ორწლიანი პროექტი - „ტვინინგი“ (Twinning). მისი მიზანია სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება ბაზარზე ზედამხედველობის განვითარების კუთხით. პროექტი ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ანალოგიური პროფილის ორგანიზაციებისა და საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციების დაკავშირებას, მათ შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს რეგულაციების დაახლოებას. მომზადდა ე.წ. „Twinning Fiche“, სადაც განისაზღვრა პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. ევროკავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოცხადდა ტენდერი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესარჩევად. ტენდერში გაიმარჯვა და „ტვინინგის“ პროექტის განმახორციელებლად შეირჩა დიდი ბრიტანეთისა და ლიტვის რესპუბლიკის ერთობლივი ჯგუფი და ხელი მოეწერა კონტრაქტებს შესაბამის ორგანიზაციებთან.

ევროკაშირის მოკლევადიანი დახმარების პროექტი

2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სააგენტოში განხორციელდა ევროკაშირის მოკლევადიანი დახმარების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სააგენტოს მხარდაჭერას ევროკავშირთან დაახლოებულ სფეროებში - წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭუჭელი, ცხელი წყლის საქვაბე დანადგარები (ბოილერები) ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების კუთხით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა :

- ტრენინგი წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭუჭლების და ცხელი წყლის საქვაბე დანადგარების (ბოილერები) ევროდირექტივებში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- ტრენინგი ბაზარზე ზედამხედველობის მეთოდებსა და ეფექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს თანამშრომლებმა და აღნიშნულ სფეროებში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;
- შემუშავდა რეკომენდაციები, რომელებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს/სამოქმედო ინსტრუქციებს, ინსპექტირების, ნიმუშების აღებისა და რისკის შეფასების პროცედურებს.

ნებართვების გაცემის ელექტრონული სისტემა

2017 წლიდან დაიწყო V კლასის შენობა ნაგებობების და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემა ელექტრონული ფორმით. გაიცა: • გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე - 13 ნებართვა, • სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების - 4 ნებართვა, • განხილვის პროცესშია 13 ობიექტი.

ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა

2017 წლიდან დაიწყო მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ელექტრონული რეგისტრაცია უწყებრივ რეესტრში; დარეგისტრირდა 62 ობიექტი. სააგენტო უზრუნველყოფს სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს დაინტერესებული პირებისათვის ელექტრონული ნებართვის მიღებასა და ობიექტის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

გეოინფორმაციული სისტემები

სააგენტოში დანერგილია თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემა - გის. (GIS) მასში ასახულია სივრცითი მონაცემები მთელი საქართველოს მასშტაბით და სააგენტოში არსებული სრული ინფორმაცია შემდეგ ობიექტებზე:

- V და IV კლასის შენობა-ნაგებობები;

- მათ შორის, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის შენობა-ნაგებობები;
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების არეალი.

სააგენტოში გეოინფორმაციული ბაზის განახლება ყოველდღიურად მიმდინარეობს.

ხორციელდება შემოსული სივრცითი მონაცემების შეტანა გეოსაინფორმაციო სისტემაში და მათი ასახვა GIS (გის) პორტალზე. აღნიშნული ბაზა საშუალებას იძლევა გამოირიცხოს უკანონო მშენებლობები რეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე. 2017 წელს სააგენტომ 350-მდე ობიექტის მონაცემები ასახა გეოინფორმაციულ სისტემებში და განაახლა ინფორმაცია 2017 წლამდე არსებულ ობიექტებზე.

გეოინფორმაციული სისტემების საერთაშორისო კონფერენცია

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სააგენტოს გეოინფორმაციულის სისტემის შესახებ ინფორმაცია წარდგენილ იქნა ფართო საზოგადოების წინაშე - გეოინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური ზონდირების მომხმარებელთა XVIII საერთაშორისო კონფერენციაზე ნოემბერში და განთავსდა გეოგრაფიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ურთიერთობა მედიასა და საზოგადოებასთან

მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი სააგენტოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისადმი. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ტელე-რადიო გადაცემებსა და საჯარო შეხვედრებში, პასუხობდნენ პრესის შეკითხვებს შემდეგ თემებთან დაკავშირებით: უსაფრთხოების დაცვა და კანონმდებლობის მოთხოვნები შემდეგ ობიექტებზე: • გაზგასამართი სადგურები; • ლიფტები და ატრაქციონები; • სამშენებლო ობიექტები; • შახტები და მალაროები; • მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები; სამშენებლო სფეროს ახალი რეგლამენტები: • შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები; • სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოება. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდებოდა სააგენტოს ვებ-გვერდის და ფეისბუქის ოფიციალური გვერდის საშუალებითაც.

სააგენტოს საკანონმდებლო საქმიანობა

2017 წელს მომზადდა ნორმატიული აქტები და ნორმატიული აქტების პროექტები საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად:

- 1) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №136 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“;

2) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N174 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

3) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

4) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით მომზადდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

5) 2014/34/EU ევროდირექტივის შესაბამისად შემუშავდა „პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;

6) 305/2011/EU რეგულაციის შესაბამისად შემუშავდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;

7) „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის N 289 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

8) „წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის N151 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

9) ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების შესახებ“;

10) მთავრობის დადგენილების პროექტი „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად:

- ობიექტების ღირებულების მიხედვით განისაზღვრა მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემა.
- შემცირდა მშენებლობის ნებართვის I სტადიის ადმინისტრაციული წარმოების ვადები და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების დეტალური გაწერა.
- სამშენებლო საქმიანობის საექსპერტო შეფასება შეიძლება განახორციელონ აკრედიტებულმა ინსპექტირების ორგანოებმა და აგრეთვე ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში აკრედიტებულმა ორგანოებსაც, რომლებიც ამ მიზნით რეგისტრირდებიან სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრში.
- 57-ე დადგენილება შესაბამისობაში მოვიდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნებთან.
- შემუშავდა ნორმატიული აქტების პროექტები ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის

კანონმდებლობის შესაბამისად

- მომზადდა ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტები ევროპის კანონმდებლობასთან დინამიური დაახლოების მიზნით;
- განისაზღვრება ბაზარზე განთავსებული პროდუქტების რისკის შეფასების პროცედურები, რომლითაც დადგინდება თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება პროდუქტისგან მომავალი საფრთხე, რომლის საფუძველზეც მოხდება პროდუქტის რეალიზების შეჩერება, პროდუქტის ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება.
- შეიქმნა საქართველოში პირველი რეგულაცია ჰიდროენერგეტიკულ სფეროში და დარეგულირდა ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების უსაფრთხოების საკითხები;

საჯარო ინფორმაცია

2017 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ გაიცა პასუხი საჯარო ინფორმაციის 45-მდე მოთხოვნაზე.

ტექნიკური ზედამხედველობა

2017 წელს შემოწმდა 1 427 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი. დარღვევებისთვის დაკისრებული საჯარიმო თანხებმა შეადგინა 207 900 ლარი. დაჩქარებული მომსახურების გადასახადმა შეადგინა 4 600 ლარი. გაიცა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 12 ნებართვა. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 480 ლარი.

მშენებლობის ნებართვები, ინვესტიციები და მოსაკრებელი

2017 წელს სააგენტოს გაცემული ნებართვებით საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციების რაოდენობა შეადგენს **2 მილიარდზე მეტ ლარს**. (2, 1 მილიარდი). 2014-2016 წლების ჯამური ანალოგიური მაჩვენებელი 4,8 მილიარდ ლარს შეადგენდა. 2017 წელს გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის 123 ნებართვა; სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან IV კლასის 136 სამშენებლო ობიექტის ადმინისტრაციულ წარმოებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის მოსაკრებელმა შეადგინა 982 040 ლარი.

მშენებლობის ნებართვები -(მნიშვნელოვანი ობიექტები - 2017 წ.)

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები: • არგვეთას სატრანსპორტო კვანძი; •

ქუთაისი-ალპანა-მამისონი; • თბილისი-რუსთავი (მეორე მონაკვეთი); • ხუთი სახიდე გადასასვლელი; • ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზა; • ნამახვანი ალპინას მონაკვეთი; • ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი; ჰესები: • ხედეთულა 3; შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია: • სანაპირო ზოლის გამაგრება - ბათუმი; • პეის ტერმინალის ნავმისადგომისა და მოლოს რეკონსტრუქცია - ფოთი; მაგისტრალური გაზსადენი - ქობულეთის 60 კილომეტრიანი მონაკვეთი

მშენებლობის ზედამხედველობის სტატისტიკა

2017 წელს სააგენტოს მიერ გამოწერილი სამშენებლო ჯარიმების საერთო რაოდენობა შეადგენს მილიონზე მეტს - 1 015 200 ლარს. აქედან უკვე გადახდილია 368 600 ლარი. ექსპლუატაციაში შევიდა 64 ობიექტი, ინსპექტირება ჩაუტარდა 108 სამშენებლო ობიექტს, დაჯარიმდა 75 სამშენებლო ობიექტი.

მნიშვნელოვანი საზედამხედველო სამშენებლო ობიექტები (მიმდინარე - 2017)

ჰიდროელექტროსადგურები: • სხალთა ჰესი და შუახევი ჰესი • კირნათი-ჰესი • ნენსკრა ჰესი • ხობი ჰესი • მტკვარი ჰესი • კინტრიში ჰესი

მაგისტრალური გაზსადენი BP - ორი საკომპრესორო სადგური და მისი ობიექტები; ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენი - 2 ახალი მონაკვეთი; ელექტროგადამცემი ხაზები - ხორგა-ჯვარი, ქსანი-სტეფანწმინდა; ინდუსტრიული ობიექტები ჰუალინგის თავისუფალ ზონაში - თბილისი, ქუთაისი; საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობები - საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისთვის, - ქ. ზუგდიდი, ქ. მცხეთა, ქ. გორი, ქ. ქუთაისი, მარტყოფი, წყალტუბო; სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლის ობიექტები: •

მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ • სამტრედია-გრიგოლეთის სატრანსპორტო კვანძი; • თბილისისა და ქუთაისის აეროპორტების ობიექტები; • საზაფხურო გზა - თეთნულდი;

ექსპლუატაციაში მიღებული მნიშვნელოვანი ობიექტები (2017)

მაგისტრალური გაზსადენი და ნავთობპროდუქტები: • BP - ბუნებრივი აირის მილსადენის გაფართოება; • ყაზახ-საგურამო მაგისტრალური გაზსადენი - კოდისწყლის მონაკვეთი; • ყარაღაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენი - მდ.ლოჭინზე საჰაერო გადასასვლელი; • შავი ზღვის ტერმინალის სარეზერვუარო პარკი - ხობი, ყულევი; • ნავთობპროდუქტების საცავის რეზერვუარები - მარტყოფი; • საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის მდინარე ლეხურაზე 2 მიწისქვეშა გადასასვლელი. • ნავთობპროდუქტების საცავის - ვაზიანი; საწარმოები: • შავი ლითონის - ქ. რუსთავი • შავი ლითონის - ქ. ზესტაფონი • ფერადი ლითონის (მეორადი ტყვია) - ქ. სამტრედია; ჰიდროელექტრო სადგურები: • „ხელვაჩაური 1“, მდინარე ჭოროხზე • 1.99მგვტ სიმძლავრის მდ. გუბაზეულის ხეობაში; • ელექტრო გადამცემი ხაზი - „არაგვი1-2“, სოფ. გლდანის ტერიტორია; ნაპირსამაგრი ნაგებობა - ხობი; მეტროსადგური მე-2 ხაზის გაგრძელება და

მეტროსადგური „უნივერსტეტი“ - თბილისი; ჯანდაცვის ობიექტები: • ცე ჰეპატიტის რეგიონალური სკრინინგ ცენტრი - ზუგდიდი • მრავალპროფილიანი საავადმყოფო - ლენტეხი • მრავალპროფილიანი საავადმყოფო - ახალქალაქი; სახმელეთო მიმოსვლა: • თბილისი-რუსთავის გზა - პირველი მონაკვეთი; • თაღოვანი ღვარცოფგამტარი - ბორჯომი; • ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა - 2 მონაკვეთი; • საჰაერო გადასასვლელი - მდ. ლოჭინი; თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ობიექტები: • ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეკონსტრუქცია • თვითფრინავების სადგომი ბაქნების რეკონსტრუქცია • ახალი სამგზავრო ტერმინალი; სავაჭრო ცენტრი - „ხუალინგ მოლი“; ქარხანა - წებოვანი ცემენტის ქარხანა, მარტყოფი; ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა - ქობულეთი, ჩოლოქი; საცხოვრებელი კორპუსები - 28 ერთეული 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი - საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისთვის, ქ. ზუგდიდი

სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგები

სააგენტოს ხელს უწყობს ბიზნეს-კომპანიებს და სააგენტოში გამართულ ტრენინგებზე მათ გააცნო საკანონმდებლო ცვლილებები და ახალი მოთხოვნები შემდეგ სფეროებში: — მშენებლობა; — ნავთობი და გაზი; — წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები და მარტივი ჭურჭელი; — წყლის ახალი გამაცხელებლები (საქვაზე დანადგარები); — მომხმარებელთა უფლებების დაცვა; — შრომის უსაფრთხოება.

თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

სააგენტომ სხვა უწყებებთან ერთად: ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია: — დაიწყო განსაკუთრებით საშიშპირობებიანი სამუშაო ობიექტების ერთობლივი შემოწმება; — აგრძელებს მუშაობას ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობისთვის; — გააფორმა მემორანდუმი ბაზარზე ზედამხედველობის ინფორმაციის გაცვლის მიზნით; — შეიმუშავა მნიშვნელოვანი, მათ შორის, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები, შემდეგ თემებზე: - შრომის უსაფრთხოება; - სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოება; - შენობების ენერგოეფექტურობა.

ანტიკორუფციული ვალდებულების შესრულება

სააგენტო უწყებათაშორის ანტიკორუფციული საბჭოს წევრია. 2017 წელს სააგენტომ შეასრულა ანტიკორუფციული სტრატეგიით განსაზღვრული ვალდებულება - დანერგა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა. აღნიშნულმა ქმედებამ უზრუნველყო რეგისტრაციის სისტემის მეტი გამჭვირვალობა.

ტრენინგები, შეხვედრები და საერთაშორისო ურთიერთობები

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მუშაობის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია - ქართველი და უცხოელი, მათ შორის, ევროკავშირის ექსპერტების მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე, რომლებიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს: • ამერიკული გამოცდილების გაზიარება: კანონმდებლობის შემუშავება ევროდირექტივების მიხედვით და დაახლოება ევროკანონმდებლობასთან; • ორგანიზაციების ნოტიფიცირების პროცედურები და მოთხოვნები; • კიბერ-უსაფრთხოების დაცვა. • ინდუსტრიული პროდუქტების ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობა; • მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

სააგენტოს მიერ ინდუსტრიულ და სამომხმარებლო ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად განსახორციელებლად, სააგენტოს წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი, გაიზიარეს სხვა ქვეყნების გამოცდილება, რეფორმები და გეგმები ბრიუსელში, ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ მეშვიდე გაერთიანებული საბაზისო ტრენინგზე "Twinning"-ის პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით.